ტამბა და რედაქცია
ილისი, სასახლის ქ.,
.-აზნაურო კარვასლა
-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
მართავენ რედაქციის დილის
საათამდე და საღამოს 6—7
. ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

-პირ მოლაპარაკები რედაქ-
-თან შეიძლება ყოველდღე.
ლეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
აზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან.,

ინა გრიგოლის ასული სულხანიშვილისა, ლუარსაბ გაბ-
რიელის ძე სულხანიშვილი და ვასილ ალექსანდრეს ძე
ულხანიშვილი დებით და ძმითურთ გულითადის მწუხარებით
აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი
მეუღლისას, მეორე ძმისას და დანარჩენნი მამის

ალექსანდრე გაბ. სულხანიშვილისას

სთხოვენ მობრძანდნენ ცხედარის განსვენებაზედ საკუთარის სახ-
ლიდან (რეუტოვის ქუჩა, № 10) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოოზის
ეკლესიაში, სამშაბათს, 16 მარტს, დილის 9 საათზედ.

ქართული თეატრი

მეორე გასტროლები ვ. ალექსეევ-მესხიშვილისა

კვირას, 18 მარტს

ული თეატრის არტისტებისაგან, ბ-ნ ალექსეევ-მესხიშვილის მო-
ნაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ჰამლეტი
დანიის პრინცი

ტრაგედია 5 მოქმედ. თხზ. ვ. შექსპირისა თარგ. თავ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებს ნრელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

ესორი ალექსეევ-მესხიშვილი.

დააჭაშნიკეთ
გაუწურავი ღვინოები
პირდაპირ ბოჭკიდან ბოთლში ჩამოსხმული
„იყალთო"
ორგი და ლუარსაბ მაჭაშვილებისა გოლოვინის პროსპექტი სას-
ტუმრო „როსსიას" ქვეშ სახ. ანტონოვისა, № 19.
იქვე შეიძლება ღვინის სმა

ურნალო და ამბულატორია
. თოფურიასი
ქუთაისში.
ურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს შ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. ქოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტეროლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის ჩამოსვლა. როგორც გაზ. „კავკაზი" იუწყება, მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი მხოლოდ ნაალდგომევს აპირებს ჩამობრძანებასო.

*** გუშინ-წინდელ ქართულ წარმოდგენაზე ხალხი საკმაოდ დაესწრო. საზოგადოება აღტაცებით მიეგება ჩვენს ნიჭიერს მსახიობს ალექსი-მესხიშვილს, რომლის ხელოვნურმა თამაშმა მეტადრე პირველსა და უკანასკნელ მოქმედებაში დიდი ზედ გავლენა იქონია მაყურებლებზე, სხვა მოთამაშენიც ხელს უწყობდნენ პიესის მწყობრად ჩატარებას.

ვოდევილში ჩვეულებრივ შეუდარებელი იყო ვ. აბაშიძე და აგრეთვე გედევანოვიც.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს. წარმოდგენილი იქნება ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია „ჰამლეტი". ამ პიესაში მთავარ როლს თამაშობს ალექსი-მესხიშვილი.

*** მოწაფეთა საყურადღებოდ ტფილისის პოლიცმეისტერს განკარგულება გაუცია, რომ პოლიციის მოხელეებმა სასტიკი ყურადღება მიაქციონ ხოლმე, რომ მოწაფეებმა თეატრის გალერეიაში არ იარონ, ვინაიდგან აღკრძალულია სამოსწავლო მთავრობისგანაო.

*** „მუხრანის" შესყიდვა საუფლისწულო გამგეობისაგან. თავ. კონსტანტინე მუხრან-ბატონის განთქმული მამული „მუხრანი" უკვე უყიდნია საუფლისწულო მამულების გამგეობას ნახევარ მილიონ მანათად, ხოლო ამ ფასში არ შედის ღირებულობა იმ ღვინოებისა, რომელიც თითქმის 80,000 ვედრას შეადგენს.

*** ტფილისის საკრედიტო სამეურნეო საზოგადოების კრება. კვირას, 14 მარტს სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა წლიური ჩვეულებრივი კრება ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების წევრთა. კრება გახსნა ზედამხედველობის დეპუტატმა ი. გ. თულაშვილმა, შემდეგ საზოგადოებამ კრების თავმჯდომარეთ ერთხმად ამოირჩია თ. ი. გ. ჭავჭავაძე. სჯა იყო 1898 წლის საზოგადოების მოღვაწეობისა. როგორც ამ წლის საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს, მთელი წლიური აპერაცია ჰქონიათ 4,984,682 მან. 84 კაპეიკი, წინა წლისა კი ჰქონდათ 2,067,432 მ. 94 კ. ნაკლები. წმინდა მოგება დარჩა საზოგადოებას 6835 მ. 78 კ., რომელიც ასე გაანაწილა: მიეცეს საჴიროების (запасный) კაპიტალს 683 მ. 58 კ.; ორს საზოგადოების ბუღალტერებს 200 მან. და სამსავე გამგეობის წევრებს 1800 მან., თითოს 600 დ., როგორც ჯამაგირის მომატება და დანარჩენი ფული 3494 მ. 16 კ. გაყოფილ იყოს საზოგადოების წევრებისათვის. თითო წევრს ერგება ყოველ შეტანილ 100 მანეთზედ 6 მანეთამდის.

ამის შემდეგ ამორჩეულ იყვნენ ახალ სამი წლისთვის ხელ-ახლად იგივე ძველივე პირნი: გამგეობის თავმჯდომარე ი. ს. განზიელი, დეპუტატი ზედამხედველი გამგეობისა გენ.-ლეიტ. თავ. ნ. ბ. ერისთავი და სარევიზიო კომისიის წევრები ნ. ვ. პავლოვი, ივ. ანდრონიკაშვილი და ს. ს. ფერნაძე. კრება დაიშალა 4 ნახევარ საათზე.

*** შეწყვეტილი სწავლის დაწყე-

ბა უნივერსიტეტებში. ამ წლის 8 თებერვალს მომხდარი არეულობა პეტერბურგის, მოსკოვის და სხვა უნივერსიტეტებში ძლივს დაბოლოვდა. ამ ჟამად, როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ყველგან უნივერსიტეტებში სწავლა დაუწყვიათ და მომეტებულ სტუდენტებისათვის პატიება აღუთქვამთ.

*** **საინტერესო ხელთნაწერი.** ამ მოკლე დროში, ერთ მეტად საპატიო მოხუცებულ ქალს, ჩვენის ცნობილის ისტორიკოსის პ. იოსელიანის მეუღლეს თავის ხელით გადუწერია ერთი ძველი ქართული კარაბადინი, საოცარი ზომისა, XII საუკ. თამარ-მეფის ბრძანებით ხოჯათყოფილისაგან. ამბობენ, რომ მნახველნი ასეთი ხელთნაწერისა გაოცდებიანო. თვითონ პატივცემული ანნა იოსელიანისა დღეს მცხეთაში, ქართველთ დედათა მონასტერში სცხოვრებს.

*** **ჩვენ მემამულეთა საყურადღებოდ.** მუშტაიდის ბაღში, სადაც ფრინველთა გამოფენა იყო, შაბათს 13 მარტს ბ-ნმა კლაუსენმა განუმარტა საზოგადოებას და აჩვენა პრაქტიკულად ბაღოსნობა, რაზედაც დამსწრე პირებმა დიდი მადლობა გადაუხადეს, აგრეთვე იქნება ყოველ შაბათს საღამოს 5 საათზე და კვირაობით პირველ საათზე, წაიკითხავს აგრეთვე საჯარო ყვავილების და მცენარეების შესახებ გოლოვინის პროსპექტზე № 45, არც პირველზე და არც მეორეზე ბ-ნი კლაუსენი არ ახდევინებს სასყიდელს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. ურიგო არ იქნებოდა ჩვენ მემამულეთა მიექციათ ამ ფრიად სასარგებლო საქმისთვის ყურადღება და ცოტა რამ ცოდნა შეეძინათ, მაინც და მაინც თუ არას ისწავლიან არას დაკარგავენ.

*** **საფილოქსერო კომიტეტის** ხარჯი, თურმე ძრიელ შეუმცირებიათ ამ წლისათვის, სრულებით გაუქმებიათ თანამდებობა საქმის მწარმოებლისა, ექსპერტების ორი თანაშემწისა და თორმეტი ინსტრუქტორისა.

*** **ინჟინერ-ტეხნოლოგი** ბ ნი დგალიევი უკვე დროებით დაუნიშნავს ტფილისის ქალაქის გამგეობას წყლის მილების და წყლისავე სახელოსნოს ზედამხედველად.

*** **საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** როგორც წინა წლებში, წელსაც გამართული იქნება ზაფხულში ტფილისს საპედაგოგიო კურსები. სხვა და სხვა წიგნების შესამუშავებლად დანიშნულია კერძო კომისია ბ-ნი ტატიშვილის თავმჯდომარეობით, წევრებად ითვლებიან ბ-ნი ილია ფერაძე და ბ ნი მურახოვსკი.

*** **უწყლობა.** წასულ წელს მოხსენებული იყო გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ქალაქის საყურადღებოთ, რომლის ავტორი ბაჟის მხდელი თხოულობდა ვერის მოედანზე წყალი ყოფილიყო გამოყვანილი, მაგრამ ჯერაც უწყლოთ არიან ჩვენდა სამწუხაროთ თუმცა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აღნიშნულ მოედანზე წყლის გამოყვანა.

აი მაგალითად მეურმეს რომ თვალ-ყური ადევნოს კაცმა, საკმარისია დარწმუნდეს, თურა ბევრს წყურვილს ითმენენ უწყლოთ. სასურველია ყურადღებას მიაქცევდეს ქალაქის თვით მართველობა და რაც შეიძლება ჩქარა გამოიყვნდენ წყალს აღნიშნულ მოედანზე. ჩემი აზრით არც ძნელია წყლის გამოყვანა ვერის მოედანზე, რადგანაც იქვე არის წყლის მილი.

დილმელი.

*** **„აკაკის კრებული“.** ჩვენ მივიღეთ აკაკის „კრებული“ თებერვლის მეორე ნომერი შემდეგი შინაარსით: პირველი განყოფილება. I „სცენიდან ნათქვამი ნინოობას“, ლექსი აკაკისა, II „საავადმყოფოში“ მისივე, III „სცენიდან ნათქვამი“—ლექსი მისივე, IV „ხაფანგი“—დრამა 4 მოქ. მეველესი, V „საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი“—მ. გ. ჯანაშვილისა, VI „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ —აკაკისა, VII „ორი მეცნიერის აზრი ქართული ენის შესახებ“—კ. თ—ისა. მეორე განყოფილება. I „სოფელი წევა“—ს. გაჩეჩილაძისა, II „მასალები ქრისტიანობის დაცემისა და ისლამის გავრცელების ისტორიისა დასავლეთ საქართველოში“—ზ. ჭ., III „ისტ. ლექსი-ლეგენდა, და გამოცანები ს. არაგვეთში ჩაწერილი—ს. მერკვილაძის მიერ.

*** **გურია.** აქაური მეაბრეშუმეობის შესახებ. გურულების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ იგინი საოცარის სისწრაფით მიექანებიან წარმატებისაკენ; გურია თან-და-თან ვითარდება გონებრივის და ქონებრივის მხრივ... აქაურებმა უკვე შეიგნეს, რომ მარტო სიმინდისა და ღომის „ფხეკა“ ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას, და აი კიდევაც შესცვალეს საწარმოო დარგი... გურულები დღეს დიდის გულ-მოდგინებით, სიყვარულით და საოცარის ენერგიით ეკიდებიან მეთუთუნეობას, მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას, ხოლო განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობენ უკანასკნელს... ამ ხუთის წლის წინად არც კი იყო სახსენებელი აქაური მეაბრეშუმეობა, იგი მეტად დაბალ საფეხურზე იდგა: შეიძლება სოფელში თითო-ოროლა ოჯახს ეკეთებია, თითო-ოროლა ფუთი აბრეშუმის პარკი, საშინაო საძაფეთ, მამაკაცებს კი სათაკილოდ მიაჩნდათ ეგ ხელობა, სულ ერთიანად რომ შიმშილით ამოხოცილიყო აბრეშუმის მატლები, თუ რომ ქალი არ იქნებოდა სახლში. „მამაკაცი“ დიახაც არ იკადრებდა ბჟოლის მოკრეფას და მატლების დაპურებას. ეს ასე იყო ამ ხუთი წლის წინეთ, ხოლო დღეს კი სულ სხვაა... რაკი შეიგნეს, რომ ეს საწარმოო სამეურნეო დარგი ფრიად სასარგებლო ნაწილია, თუ შესაფერ მოვლა გაუწევენ, არა თუ გლეხ-კაცობამ, არამედ თვით ჩვენებურმა ამპარტავანმა „კუდ-მომწვარა“ აზნაურის შვილებმაც კი გამოჩაჩეს თვალები და მიჰყვეს ხელი მეაბრეშუმეობას, რის მეოხებითაც თან-და-თან იზრდება და მატულობს გურიაში ეს სამეურნეო დარგი... წინა წლეებში შეიძლება გურიაში 2,000 ფუთი აბრეშუმის პარკი კეთებულიყო, რომლის ნახევარი საშინაო საძაფეთ იყო დანიშნული, ხოლო ნახევარს ახვევდნენ და ისე ჰყიდნენ „ნაგომრობაში“ (იარმუკობა იციან 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე—ნაგომარში), რომელსაც მესამედ ფასად ინარჩუნებდნენ, მეფართლეურიის ჩარჩები... ეხლა აი რას გვეუბნება სტატისტიკა. ჩვენ ვიცით, რომ წარსულ 1898 წელს გურულებმა აკეთეს დაახლოვებით 15,000 ფუთი აბრეშუმის პარკი, რომელიც საშუალო საფასით გაიყიდა—ფუთი 15 მანეთად. (ზოგიერთი წილი 16, 17 და 18 მანეთადაც გაიყიდა). მაშასადამე ამ სამეურნეო დარგიდან გურიაში შემოსულა 80,000 მანეთი, ე. ი. თითოეულს სულზე 1 მანეთი. (გურიაში 80,000 სული მცხოვრებია) და განა ცოტა ფულებია ეს?! წელს კი უფრო წახალისდნენ გურულები და თითოეულმა ოჯახმა სამ-სამი და ოთხ-ოთხი კოლოფი თესლი შეიძინეს. ღარიბმა ნაწილმა აიღეს „საზიაროთ“, ე. ი. რასაც აკეთებს მეოთხედი ნაწილი თესლის მეპატრონეს მიაქვს და ვისაც ფული ჰქონდა ფულზე ყიდულობდნენ თესლს და თუ კარგად შეუწყვეს ხელი, მოსალოდნელია, რომ შარშანდელი აბრეშუმის პარკის შემოსავალი, ერთი ორად და ერთი სამად გაიზრდება და განა სასიხარულო არ არის ეს? აქ სასიხარულო ის გარემოებაც არის, რომ ხალხი საოცარ ყურადღებას აპყრობს ამ ხელობის (ტეხნიკურად) შესწავლას და იძენს კიდეც ბროშურებს, სადაც წერილია პრაქტიკულად და სპეციალურად აბრეშუმის ჭიის მ
მისი საზრდოება, ჭიის დაბრ
პარკის გახმობა, გადარჩევ
სხვანი. ამ გვარი წიგნის შ
სათვის არაფერს არა შურ
მარა ჩვენებური სპეციალისტ
აბრეშუმეობის მცოდნეთა
ცხვინოდ უნდა ვთქვათ, რომ
არც კი მოგვეპოება ამ სამე
ნაწილის შესაფერად დასურა
ლი ქართულს ენაზე გამოც
წიგნაკი. ნუ თუ არავინ
ჩვენ ქვეყანაში ამ ხელობის
მცოდნე? თუ არის, რატომ
ცოდნასა და გამოცდილებას
გამოიყენებს მშობელი ქვ
სასარგებლოდ?!? ეგების ფი
ბენ, შრომა ამაოდ ჩაივლის,
ბაზარი არ ექნებაო. არა,
მცდარი აზრია და აი რატომ
ლაც ბეგლარ კარაბეგოვს შ
გენია მოკლე სახელმძღვანელ
დარგის შესახებ, წიგნაკი
თოთხმეტს გვერდს შეიცავს
ტათ პატარა ფორმისაა
20 კ. კი ღირს, მარა ხალხი
გატაცებით ყიდულობს და
დება. უყურებ ამას და ამბო
მახლას! აქაც სომეხი და მ
რი ხრიკები“. აპა ვის მოს
14 გვერდიანი წიგნაკი 20 კ
კათ?! შეადგინეთ, ბატონებო,
შესახებ კაი სახელმძღვანელო
ნახავთ რა ბაზარი დაურჩება
ხალხიც დიდად მადლიერი გ
ლებათ... თუ ეს ხელობა
ხალხმა შეისწავლა კარგათ,
იმედიც უნდა ვიქონიოთ,
აღარც ჩარჩების საწველ ფ
გახდებიან აქაურები, და თვი
ვე მოუპოვებენ შესაფერ ბ
თავიანთ ნაწარმოებს... ვინ
აბრეშუმეობის საქმეს თან მ
„სოფლის მწარმოებელ მეაბრ
მეთა ამხანაგობის“ დაარსებაც,
რა თქმა უნდა, დიდ სარგებლ
მოუტანს აქაურ მკვიდრს.

ნუ დავივიწყებთ იმასაც,
ერთი რომელიმე სამეურნეო
გის წარმატებას დიდი სარგე
ბის მოტანა შეუძლია ქვეყ
თვის.

მაგალითად ავიღოთ
სამოციან წლებში საშინლად
ცა იქაური მეურნეობა, გ
ცობა საშინელს სიღატაკე
ცვინდა, და არც სხვა წ
იყო უკეთესს დღეში მთავ
დრტვინავდა.., მარა იმათ
მოუპოვეს წყლულს მალამ
ლი მიჰყვეს „ღორის მოშ
საქმეს“ პირველად კერძო
მა, მერე ამხანაგობებიც
ამას ხელი შეუწყო მთავრობ
მოსცა იაფ ფასიანი ს
სხვანი... რის მეოხებითაც
ლესს წერტილამდი განვი
აქ მეღორეობის საქმე. დ
დანიამ პირველი ადგილი
ჭირა საერთაშორისო ბაზა

დანია ცნობილია ერთ უმ-
ეს ქვეყნად, და ყველა ეს
მეღორეობის განვითარებით.
დანია ასაზრდოებს და აძლევს
ნიას, ინგლისს, და სხვა ევ-
ს სახელმწიფოს ღორის
ს, ღორს და სხვას, რომე-
საუკეთესოდ ითვლება. მაშ
ვიქონიოთ მკითხველო, რომ
ველოშიც განვითარდება მე-
მეობის საქმე, და სიღარი-
ან წელში გატეხილი ჩვენ-
გლეხ-კაცობაც თავისუფლად
უნთქავს და ამაყად დაიძა-
„მეც ადამიანი ვარ, მეც
რება მინდა, მეც მეცხრამე-
უკუნის დასასრულის მცხოვ-
ვარო“ ღმერთმა ინებოს!!!

ლ. ბერძენიშვილი.

**ს. დამპალეთი** (ქართლი)
ები არ გვშორდებიან! წელი-
არ გაივლის, რომ ქართლში
ობა და ვაი-ვაგლახი არ მოხ-
მიშში სცვივიან სოფლელე-
ღმერთს ეხვეწებიან „ღმერ-
ვაშორე იმათი ფეხის ბრახუ-
ომ ჩვენ სოფელში არ გაია-
“. საბრალონი არიან უფრო
ერტელი გლეხები, რომელ-
ოჰკლეს გაბო გიგოლაშვი-
ა ორნიც ჯან მისუსტებუ-
გაისტუმრეს კეტებით. შ,ი-
იყო ავაზაკების ხმა, დაია-
ო, თუმცა მართალი იყო,
მათ დიდი ნავნევი არა ჰქნეს,
რც ზევით აღნიშნულთა ავა-
. მკითხველებს ისევ დაუბ-
ბი და ვაცნობეფ იმათ ავა-
ს. სავი თედეშვილი, გაბო
აშვილი და საჩინო ვანიშვი-
ვნენ ოსები; გაბო შუა ხნი-
ორნი ახალ-გაზდეები. ნათქ-
რის „ბავშვს რომ გაუცინო
დაგაჯდებაო“ ისე ისინი
ნენ, გაუტკბათ ს. კეხვის
ბი და არამც თუ ღამე ქეი-
ენ, არამედ დღისითაც ნავარ-
ენ და გამლელ-გამომლელ
პატიჟობდნენ, რომელნიც
დნენ და ნავარდობა ღამის
დღისითაც დაიწყეს, შეთვ-
ვინისა და ქეიფი ამწვანე-
ველზედ. მათ ძრიელ გაუ-
ს. ქემერტი და აღარ შორ-
ნენ... ერთ დღეს დილის
საათი იქნებოდა, რომ მათ
ფელში ჩამოიარეს და გას-
ინდიანთკენ, მათ იქ ფულის
დაუწყეს და უარის შემ-
თავ წასულმა დაუპატიჟე-
სტუმრებმა, სილები გაუტყ-
ეს იქ მყოფთ გლეხებს,—
ბრაზი მოერიათ და უკა-
ლი ძალით კეტებით დატ-
ენ ერთი გლეხი სავისა-
ჰრილი იქმნა, მაგრამ აგზ-
მა ცეცხლის ალით, არ დაე-
ს და ებრძოდა ავაზაკებს,
იქვე მოკლული იქმნა და
ისინიც თავებ დანტვრეულ დაჟე-ჟილები ერთი ოსის მეოხებით დაფარულ იქმნენ სიკვდილისაგან, რომელიც თურმე შორი ახლოს დასდევდა მათ.. ზაქარია მინდიაშვილი სამი დღის განმავლობაში გარდაიცვალა და ისინიც, სავი და საჩინო, დაიჭირეს. ს. არკნეთის მახლობ. თორმანეული ტყის პირათ ისხდნენ და საუზმეს შეექცეოდნენ, მათ მიუსწრო ავალიანმა „სოტნიკმა“ და სავი დაიჭირა. საჩინო გაქცეულ იქმნა, რომელიც შემდეგ ჯავაში დაიჭირეს. კანონის ძალით სავი დაარჩეს და საჩინოს კატორღა მიუსაჯეს თორმეტი წლობით... წრეულსაც. ს. დამპალეთიდგან გაცვივდნენ ორნი ოსნი, სავის ძმა რუხა თედეშვილი და დათიკო ბაგაური. ჩუმ ჩუმათ დანავარდობენ უფოთლო ტყეებში და თუ ეხლა არ ეცადნენ და არ დაიჭირეს შემდეგ გაუძნელდებათ, რაკი ტყე ფოთლებით შეიმოსება. კარგი იქნება ს. ქემერტში ბერდანკის თოფები დაურიგდეს მაინც თორემ ოსი თავის რჯულს არ გასტეხს და ჯავრს ამოიყრის, ვინც გაბო მოჰკლა და ვინც გალახა თავისი ძმა სავი...

კ. ფრონის-პირელი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

**უცხოეთის აზრი კავკასიაზე.** ჟურნალ „Le Monde illustre“ თებერვლის ნომერში მოგვითხრობს ერთ საინტერესო ამბავს, ბარონ დე-ბაის კავკასიაში მოგზაურობაზე. უმეტესად ბარონ დე-ბაი თავის მოგზაურობის დროს დიდი პატივისცემით მიღებულა ბევრ უმაღლეს პირთაგან. აი თვით მოგზაური რას ამბობს: „თემირ-ხან-შურაში მოსვლისათანავე დიდი პატივი მცა სხვათა შორის გუბერნატორმა ბარიათინსკიმ, რომლის ამისთანა სულით და გულით მიღებამ დიდ გაკვირვებაში მომიყვანაო“. რომ უფრო დარწმუნდეთ კავკასიაში ფრანგებისადმი განუსაზღვრელ პატივსცემაზე, მოგიყვანთ თვით მოგზაურის სიტყვებს: „რუსის პროფესორთან ერთად დაღისტნის მიყრუებულ მინდორზე მივემგზავრებოდით, როდესაც ავარის სოფელთან ჯარს შევხვდით, რომელიც გუნიბში აღლუმზე მიდიოდა. ჩემი თანამოგზაური საჩქაროთ ეტლიდან ჩამოხტა და პოლკოვნიკთან მივიდა, რომელსაც ჩემი ვინაობა მოახსენა. მაშინვე, პოლკოვნიკის ბრძანებისამებრ, ჯარი ირგვლივ დადგა, ხელათ ადგილობრივი ღვინო მოიტანეს და ბაასი გავმართეთ. მერე პოლკოვნიკმა ჯარს შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „აი ფრანციელი, რომელიც თავის სამშობლოს დანიშნულებისამებრ შესასწავლად ზნე-ჩვეულებისა სხვა და სხვა ხალხისა ჩვენ ქვეყნებშიაც მოგზაურობსო. ჩვენ დიდად უნდა გვესიამოვნებოდეს ასე მოშორებულ ქვეყანაში ჩვენი „მოძმე სახელმწიფოს“ შვილის ნახვაო, იგი ჩვენს მის დამძმურ სიყვარულს, უეჭველია, თავის სამშობლოს გააგებინებსო“. შემდეგ პოლკოვნიკმა, რუსების ჩვეულებისამებრ, სამჯერ გადამკოცნა და თითო სადღეგრძელოც მივირთვით. შემდეგ ჩაჩანთ შორის, გროზნის მიდამოებშიაც ვმოგზაურობდი. ეს ხალხი ამ მხარეში ავაზაკობით დიდად განთქმულია, მაგრამ, როგორც გამოვცადე, სტუმართ მიმღებნი კი არიან. ტფილისში ვინახულე კავკასიის უმთავრესი მმართველი თავადი გოლიცინი, რომელიც დიდი სიყვარულით დამიხვდა. საქართველოში მოგზაურობის დროს დავესწარი აგრეთვე ახალ-ათონის მონასტრებში (Allanuds) და დავიარე განთქმული კახეთის ვენახები. სხვათა შორის ქ. გორში მოსვლისათანავე დიდი სიყვარულით მიმიღო გენერალმა ამილახვარმა. დიდ ზალაში ვნახე ორი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქს ფორის სურათი: ერთი ძველი და მეორე კი უფრო მოზრდილი ამ უკანასკნელ წლებში დახატული, (როგორც დე-ბაი ამბობს, განსვენებული ფ. ფორი და ამილახვარი მეგობრები ყოფილან). ჩემ მოსვლაზე ამილახვარმა შესანიშნავი სადილი გამართა, თვით თავადს ნიჟეგოროდის პოლკის მუნდირი ეცვა, რომელიც ამ ჯარზე უფროსობით უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომში იბრძოდა. თავადს ორი გეორგიევის ჯვარი აქვს მიღებული.

კავკასიაში ბევრ ნავთსა შოულობენ, მაგრამ ამის გარდა ბევრი თამბაქოც მოჰყავთ. მაგრამ ამის გარდა ყურადღებას იქცევს უმეტესად გოგირდი, რომელსაც ყველაზე მეტ ანდიის მაზრაში, ს. ჩიქართის ახლო შოულობენ, მოგზაურმა სამშობლოში სხვა და სხვა გვარ გოგირდის ნიმუშები წაიღო, რომელნიც ეტნოგრაფიულ, ანტროპოლოგიურ და არქეოლოგიურ გამოფენაზე ექნება, მაგრამ აქ, კავკასიაში ნაშოვნი გოგირდი სრულებით არ აკმაყოფილებს აქაურ ნავთის მწარმოებელთ, რადგანაც ჯერ ბაქოში ნავთის გასაწმენდათ ყოველ წლივ ერთი მილიონი ფუთი გოგირდი იხარჯება. კარგი იქნებოდა, რომ კავკასიის გოგირდით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ გზების უქონლობა დიდად აბრკოლებს ამ საქმის წარმოებას. სხვა ხალხთა შორის დიდ ყურადღებას იქცევენ ხევსურები—წარსული დროის გმირები, ეს მთიულები, რომელნიც ზაფხულის ორი სამი თვის გარდა მეზობლებთან ნახვას მოკლებულნი არიან, შეუცვლელად შეუნახავთ თავიანთ უწინარეს ყოფილი ჩაცმა-დახურვა, შეიარაღება და ამასთან ... ძველი ქართველური გამომეტყველება. მათ აქამომდე ახალუხებზე ან ჩოხაზე მიკერილი ჯვარი დააქვთ. მათი ჩამომავლობა ძნელი ასახსნელია, თუმც ქართლის ერს ეკუთვნიან. ბევრნი ფიქრობდნენ, რომ ჯვაროსნების ჩამომავალნი არიანო, რომელიც ქრისტეს კუბოს გასანთავისუფლებლად იერუსალიმში მიდიოდნენ. მით დამარცხებისამებრ უკან დაბრუნების დროს ნაწილი მათი საქართველოში მოვიდა, აქ დაბინავდა და ჯვაროსნების სიმბოლო-ჯვარიც შეირჩინესო, მაგრამ როგორც სჩანს, ეს აზრი ჯერ აუხსნელი უნდა დარჩეს. ამას ამტკიცებს ბარონ დე-ბაი და იგი ამისთინა საქმეებში ნაცადი კაცია. რამდენიმე ხნის მოგზაურობის შემდეგ დე-ბაი ფრანციაში დაბრუნდა, სადაც უეჭველია ყველას გააგებინებს ჩვენი ქვეყნის ავკარგს და ამით უფრო მიტად ვიქნებით მხედველობაში სხვა და სხვა განათლებულ ხალხთ შორის,

პავლე მოსულიშვილი

## სასარგებლო ცნობა

ვაზის სნეულებათაგან გადასარჩენად აი რა წამალს გვირჩევენ საფრანგეთის მეცნიერნი: აიღეთ წონით ასი წილი წყალი, ოც და-ხუთი წილი სოდა და ერთად აადუღეთ, ადუღებულში ჩაუმატეთ ფხვნილი კანიფოლი ოცდა-ხუთი წილი ერთად-კი არა, ცოტ-ცოტაობით. როცა ცოტ-ცოტაობით კანიფოლი სულ ჩაუმატებს, ყველა ეს ნაწილები ერთმანეთში უნდა კარგად აირიოს იმ დრომდე,ვიდრე სულ ყველა ეს გაერთდება. შემდეგ ყოველივე ეს უნდა გაცივდეს. მერე უნდა ორ გირვანქა ნახევარი სპილენძის შაბიამანი (мѣдный купоросъ) გახსნით ოთხიდამ ექვს ნახევარ ვედრამდე წყალში და ზემოხსენებული წამალი ხუთი ბოთლი ჩაასხათ ამ შაბიამანის წყალში და კვლავ ჩაუმატოთ სოდა იმდენი, რომ არ დაემჩნიოს. ასე მომზადებული წამალი მაინც ძალიან ცხარეა და რომ გაანელოთ, იმდენი წყალი დაასხით რომ სულ 30 თუნგამდე დადგეს და ეს უკანასკნელი უნდა იხმაროთ ვაზის შესასხმელად. ეს წამალი ძალიან ჰშველის თურმე ვაზს ნაცრისა, მილდიუს და ნამეტნავად ბლეკ-როტისაგან.

## რჩეული აზრები

უკეთესია მოთმინოს კაცმა ის, რის შეცვლაც არ შეუძლიან.

ყველა ის კარგი არ არის, რასაც

კარგი კაცი აკეთებს.

—

უვლდა უსვინდისო ადამიანი შიშს არა გრძნობს, თუმცა მოუსვენრად კი არის.

—

... იმოდენად უნდა უყვარდეს ... იქმედება, რამოდენათაც მას ... ... ეხს სარგებლობა მოუტანოს.

—

ერთგულობა, წმინდათა წმინდა საუნჯეა ადამიანის გულისა.

## გასართობი

—

ერთი ინგლისელი ლორდი, სიკვდილის დროს დიდ განსაცდელში ჩავარ. და. როდესაც შეამჩნია ეს მისმა ძველმა მოსამსახურემ, უნდოდა გაემხნევებია და უთხრა:—თქვენო მოწყალებავ, თქვენ ხომ უკეთეს მხარეში მიდიხართ!..—დაჯონო, უთხრა ლორდმა,— არ არის ძველ ინგლისზე უკეთესი მხარე!

—

ერთი ბენ პროფესორი, როდესაც გამოვიდა თავის აგარაკიდან, უცებ შაეხეხა ძროხას და ვერ გაარჩია, მაშინვე მოიძრო ქუდი და უთხრა:— გთხოვ, მომიტევოდ ქალბატონო! შემდეგ კი დაინახა ვის წინაც მოითხოვა ბოდიში. ცოტა ხნის შემდეგ, იგი ერთს ჯვარედინა გზაზე შაეხეხა ქალს და ვერც ეს შეამჩნია წინანდელი, სცენა მოაგონდა და მრისხანეთ წამოიძახა:—კიდევ ეს ძროხა, დასწყევლოს ღმერთმა!..

—

ორი ინგლისელი შეხვდენ ერთმანეთს ერთ ვიწრო გზაზედ. ორნივენი ეტლში ისხდნენ. არც ერთმა არ დაუთმო ერთმანეთს გზა. ბოლოს ერთმა მათგანმა გააჩერა ეტლი, ამოიღო ჯიბიდან გაზეთი და დაიწყო კითხვა. როდესაც ეს დაინახა მეორემ, შესძახა: —როდესაც გაათავო გაზეთის კითხვა, მერმედ მე გადმომეცით!

### შემომწირველთა სია კავკასიის ქართული ეკკლესიისთვის 1898 წ.

1) უწმინდესმა სინოდმა. 1000 მ. კ.
2) ანდრეევმა სვასი ანდრიას-ძემ. . . . . . 50 „ „
3) ავრიამოვ, იაკობმა . 25 „ „
4) ახალაშვილმა, თომამ. 25 „ „
5) თავ. ანდრონიკოვმა და ვაჩნაძემ . . . . . 10 „ „
6) ახალშენიშვილმა, სტ. 10 „ „
7) ახალოვმა, ისაკმა . 5 „ „
8) ავთენკმანმა, იოს. ისრაილის ძემ . . . . 4 „ „
9) აბდულაძე, გიორგიმ. 3 „ „
10) აბაშიძე, ივანე დიმიტრის-ძემ. . . . . . 2 „ „
11) ავაქოვ, მიხაილმა . 2 „ „
12) აგლიცევ, მ. . . . 2 „ „
13) აკოფოვმა, სარქ. . 1 „ „
14) არუთინოვმა, გ. . 1 „ „
15) არუთინოვმა, ბ. . 1 „ „
16) ავეტიქოვმა, მიხ. . 1 „ „
17) არზუმანიანცმა, ი. 1 „ „
18) ასრათოვმა, არტ. . 1 „ „
19) ატაროვმა, მიხ. . 1 „ „
20) აბაევმა, ივ. ვ. . 1 „ „
21) ანდრეევმა, სერ. . 1 „ „
22) ახალოვმა გიორ. . 1 „ „
23) აივაზიშვილმა, ერ. 1 „ „
24) აბელოვმა, სიმ. . „ 50 „
25) აბელოვმა, სოს. . 50 „
26) ბონდარენკო, გრ. პარ. 110 „ „
27) ბონდარენკოვმა, ანნა პავლ. . . . . . 100 „ „
28) ბარათაშვილმა, გიორგიმ მეუღლით დარ. კირ. 55 „ „
29) ბოთაევი, ალ. მიხ. 40 „ „
30) ბაკურაძე, მღ. ნესტ. 20 „ „
31) ბოგდანოვმა, მოსემ მუშაობა . . . . 20 „ „
32) ბეჟაშვილი, ანტ. აგური . . . . . . 11 „ „
33) ბარახუსტოვმა, სოფ. 10 „ „
34) ბარახუსტოვმა, იოს. 10 „ „
35) ბაბუნიძემ, იოს. გრ. 10 „ „
36) ბალანჩივაძემ, ნიკ. იოს. . . . . . . . 10 „ „
37) ბადუროვმა ფრ. . 10 „ „
38) ბურდული, გრ. მიხ. 10 „ „
39) ბაკალაკონოვმა. სერ. 5 „ „
40 ბარისოვმა, ბაქარ. . 5 „ „
41) ბაკურაძემ, მიხ. . 5 „ „
42) ბეროზაშვილმა, ი. 5 „ „
43) ბერელაშვილი, ვას. 5 „ „
44) ბედიანიძემ. . . 5 „ „
45) ბარამოვმა, სამ. . 3 „ „
46) ბალდასაროვმა, ალ. 3 „ „
47) ბასიტოვმა, მიხ. . 3 „ „
48) ბერინოვმა, სიმ. . 2 „ „
49) ბუჩკურიმ, ი. ქვიშა. 1 80 „
50) ბერელაშვილმა, ივ. 1 „ „

(შემდეგი იქნება)

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

11 მარტი.

**ასხაბადი.** მატარებელი № 24 დაიმტვრა მე-24 ვერსტზე, ხიდზედ, რომელიც ჩაინგრა და თან ჩაიტანა ორთქლმავალი. ოთხი ვაგონი დაიმსხვრა. დაიხოცნენ: მემანქანე, მისი თანაშემწე და უფროსი კონდუქტორი.

**ასხაბადი.** დიდმა წვიმებმა კასპიის იქითა მხარეს ბევრგან შესამჩნევად დააზიანა რკინის გზა, კაგრიუტის სადგურში წყალი სდგას. მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია.

**ქრისტიანია.** დღეს გარდაიცვალა მინისტრად ნამყოფი, უმაღლეს სასამართლოს ბრალმდებელი, სტორტინგის წევრი ქრისტინ შვეიგარდი.

**ბერლინი.** გერმანიის ყველა მაზრებიდგან იუწყებიან, რომ ძლიერი ყინვები არის, რომელიც 9 გრად. აღის. ზამთრის ნათესები გაფუჭდა თუ არა, არ იციან. საადრეო ხეხილები გაფუჭდა.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ არ შეიწყნარა ქ-ნ დრეიფუსის თხოვნა სამი წევრის გადაყენების შესახებ და 100 ფრანკი ჯარიმა შეაწერა.

**სტამბოლი** გუშინ ხელ-მოწერილ იქმნა კონვენცია იმას შესახებ, რომ გააკეთოს ხაიდარ-ფაშის ნავთ-სადგური ანატოლიის რკინის გზის საზოგადოებამ.

13 მარტი

**პეტერბურგი.** 12 მარტს პეტერბურგიდგან კრასნოიარსკში წავიდა შვედელი არქეოლოგი მარტინი. მარტინმა უნდა ადგილობრივ გამოიკვლიოს არის თუ არა სავინების ოქროს მადნების მახლობლად ჰაეროსტატი და ანდრესი და იმის თანამოგზაურთა გვამები.

**ლონდონი.** პეკინიდგან იუწყებიან, ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, რომ ლი-ხუნ-ჩინგი მალე პეკინში დაბრუნდებაო.

**ლონდონი.** მინისტრმა ... ფორდმა სიტყვაში, რო... ლიბერალთა კავშირის კ... წარმოსთქვა, განაცხადა, რო... რანგეთთან მორიგება შე... აძლევს ინგლისს შეუდგეს ... ტესა და სუდანის ოკუპაც... მთავრობას იმედი აქვს, რო... სეთთან მეგობრული განწყ... ბა ექნება, რაიცა ხელს ... ყობს ინგლისს სამუდამოდ ... მოულოს იმ უთანხმოებას, ... ლიც შორეულ აღმოსავ... ჰსუფევსო.

**გიბრალტარი.** რუსეთის ს... რო გემი „გრომოზიაშჩი“ ალ... გან აქ მოვიდა. საჭირო ნა... წაიღებს და ტანჟერში წავა...

13 მარტი.

**ნიუ იორკი.** „Yorld“ იუ... ამერიკელების ახალს გამარ... ზე მანილიაში, ამერიკელების ... დაუხოციათ 100 კაცი, ფი... ნების მხრივ 300-იდან 400-...

# განცხადებანი


1899 г. Годъ третій 1...

Открыта подписка на 1899 г. на

**Новый журналъ Иностр. Литерату...**

ИСКУССТВА и НАУКИ.

**ервое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное издані...

(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ мѣсячниковъ)

| 12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ. | **1899** | На годъ 4 р. Съ доставкою перес. 5 р. На 1/2 года 2... 50 к. Съ дост. и перес. 3... |
|---|---|---|

«Новый Журналъ ностранной Литературы» поставилъ себѣ задачей в... можно большемъ кругу усской читающейпублики пробуждать и по... вать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удов... своей поучительностью и занимательностью вь области литературы, и... и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника ... ко новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журнал... странной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о резул... умственной дѣятельности ы общественной жизни за границей, о томъ ... міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть пред... любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ ...

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литерат... печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и на... шія изъ произведеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюже... такъ или иначе касающихся современности или предста... щихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, худ... твенномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе ... реводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ ... каго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допу...ающія ил... трированіе, сопровождаются **многочисленными ...жественно... ненными рисунками и автотипическими репродукц...и.**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особ... мерацієй страницъ и могутъ бытьсохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и заним... го содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстр... ной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литер... художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иност... журналистики мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печ...

**Юмористическіе разсказы Уэлльса**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Но... **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и сва... адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера.** (12—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ...